ფიცი ეხმარება საქონლის გაყიდვაში, მაგრამ ამცირებს მოგებას

აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ფიცი ეხმარება საქონლის გაყიდვაში, მაგრამ ამცირებს მოგებას».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა ფიცისგან და მისი ზედმეტად ხშირი გამოყენებისგან ვაჭრობაში, თუნდაც ადამიანი მართალი იყოს თავის ფიცში. მან აცნობა, რომ ფიცი ეხმარება საქონლის გაყიდვაში, თუმცა ის ამცირებს ან სრულიად ანადგურებს მოგებისა და შემოსავლის ბარაქას. ასევე შესაძლებელია, რომ უზენაესმა ალლაჰმა ეს ქონება გაანადგუროს, მაგალითად, ის შეიძლება მოიპარონ, დაიწვას, ჩაიძიროს, მტრის ხელში აღმოჩნდეს, გაიძარცვოს ან სხვა გზით დაიღუპოს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5936